№ 126 ივნისი 18 ხუთშაბათი · 1892 · ივნისი 18, ხუთშაბათი № 126

„Иверія" (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе

ფასი გაზეთისა:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 · პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1892

სოფლის სავანის, (შორაპნის მაზრის) წმინდის გიორგის ეკკლესიაში, 19 ამა ივნისის თთვისას გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი **დეკანოზის იოანნე ზურაბის ძის აბაშიძის** მოსახსენებლად, ამითვის ძენი მისნი: **დიმიტრი** და **ანტონ** და ძმა სახულ აბაშიძენი სთხოვენ, ვისაც სურს განსვენებულის პატივის ცემა, მობრძანდეს იმ დღისათვის. (1—2)

## „ივერია"

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

მთავრობის ნებართვით

1892 წელსა, თიბათვის 28-ს, დაბა ცხინვალში, პატარა ლიახვზედ ხიდის გასაკეთებლად იქმნება გასართობი საღამო ლიახვის პირზედ, საგანგებოდ აშენებულ ფოთლის პავილიონში, შემდეგის პროგრამით:

I

მზის დაბნელება

კომ. ანტონოვისა 3-ს მოქმედებად.

II

წაკითხული იქნება

ლექსები და სცენები

III

ჭიდაობა

გამოჩენილ ფალავნებისა

IV

საზოგადო ვახშამი ცალკე ხელის მოწერით მსურველთათვის კაცზედ 1 მ., ქალზედ 50 კ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა; ბ-ნნი თ. ნ. ერისთავი, სვიმონიძე, ვ. გუნია, თ. ზაალ მაჩაბელი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი.

ლექსებს და სცენებს წაიკითხავენ: თ. ნ. ერისთავი, ბ-ნი ბ. ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომაური, სვიმონიძე და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 8 მ., 1-ლი რიგი 2 მ., 2-რე და 3-მე 1 მ. 50 კ., 4-ან 14-ინ 1 მ., დანარჩენი 50 კ., გალერეია 20 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

(5—1)

## ახალი ამბავი

*** ელისავეტოპოლის გუბერნატორი იუწყება: 14 ივნისს მატარებლით № 4 ევლახიდგან მოვიდა ხოლერით ავადმყოფი ქალი. იმავე დღეს ქ. შუშას მახლობლად გზატკეცილზედ ავად გახდა ხოლერითვე ორი კაცი, ერთი მათგანი გარდაიცვალა, მეორე სამკურნალოში წაიყვანეს. იმავე დღეს ქ. ვანქის მახლობლად გარდაიცვალა ხოლერით ბაქოდგან თავისს სახლში მიმავალი, ჯებრაილის მაზრის მცხოვრები, ბაბაევი.

*** ზეგ, პარასკევს, 19 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში განგრძობა ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებისა. ამ კრებას საგნად ექმნება განხილვა სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა და ამორჩევა მმაართველობის წევრთა სამის კანდიდატისა.

*** ქალაქის მოურავმა მისწერა სასანიტარო დასების მკურნალებს, თავისუფალს დროს, როცა სასანიტარო დასი სახლებს არა სინჯავს, პოლიციის მმართველობაში იყავით, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს გაცნობონ, თუ ვინმე ხოლერით გახდა ავადაო.

*** გუშინ ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი, რომ ზოგიერთა აფთიაქის პატრონებმა თანხმობა გამოაცხადეს ღარიბ მცხოვრებლებს ხოლერის დროს ნახევარ ფასად მიჰყიდონ წამლებიო. ახლა შევიტყეთ, რომ ასეთივე თანხმობა ყველა აფთიაქების პატრონებმა გამოაცხადეს.

*** გამოვიდა ივლისის ნომერი „ჯეჯილისა". შინაარსი მისი შემდეგია: „ოთხი ძმა პეპელა" ლექსი შ. მღვიმელისა. „ორი პატარა იმერლის მოგზაურობა" მოთხრობა თეოფ. ხუსკივაძისა. „პაპას ცოლ-შვილის გლოვა", ლექსი ვაჟა-ფშაველასი. „დამაცალე და ამ წუთა" ფრანგულიდგან გადმოღებული ეკ. გ—სა. „მეჯლისი ლომისა" პოემა ვაჟა-ფშაველასი. მეფე და კათალიკოსი, ხალხური ზღაპარი. „მონადირე" ხალხური ლექსი. „ბენიამინ ფრანკლინი", დასასრული ან. თ. წ—სა. „ვეფხისტყაოსანი" ნაამბობი მოზრდილი ყმაწვილებისთვის, გ. ი—სა. „სამყარო", ერ. ბაქრაძისა. „ვისი ბრალია, თუ ხარშოს გემო არ აქვს" ფრანგ. ა. თ. წ—სა. „ორი მეზობელი" ან. მანისა. ანდაზები, გამოცანები, აკროსტიხი, სამათემატიკო გამოცანა, შარადა და რებუსი.

*** ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი ქართული წიგნი „93 წელიწადი", რომანი ვიქტორ ჰიუგოსი, ნათარგმნი ნაწყვეტ-ნაწყვეტად განსვენებულ დიმ. ყიფიანის მიერ. დიმიტრი ივანეს ძეს ეს ზოგიერთი ადგილები რომანისა უთარგმნია 1889 წელს თავის სოფელ ქვიშხეთში. საინტერესოა ამ თარგმანის გადათვალიერება, თუნდა მარტო იმ მხრით, რომ დიმიტრი ყიფიანის ქართული ამ წიგნში საკმაოდ ჩასაფიქრებელ-დასაკვირვებელია, ქართული თავისებური, საკუთარ-კილოიანი, თავის განსაკუთრებულ ღირსება-ნაკლულევანებითურთ. წიგნი დაუბეჭდია ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს, რომელსაც განზრახვა აქვს, ამას შემდეგ სხვა თარგმანებიც დაჰბეჭდოს იმავ დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანისა.

*** ბაქოს საბჭო დეპეშითა სთხოვს ტფილისის საგუბერნიო მკურნალს, ტფილისიდგან ერთი მკურნალი გამოგვიგზავნეთ ბაქოში, რომელსაც თთვეში 300 მანათს ჯამაგირს დაუნიშნავთ. ეს ჯამაგირი მკურნალს ოთხის თთვის განმავლობაში ეძლევა. ეს დეპეშა საგუბერნიო მკურნალმა ტფილისის პოლიცმეისტერს გარდასცა გამოსაცხადებლად.

*** სასანიტარო დასების მკურნალებმა გადასწყვიტეს, რომ თუ ვინიცობაა ტფილისში ხოლერა გაჩნდა, საჭირო იქნება ქუჩების მორწყვა, მაგრამ ქუჩები ჯერ კარგად უნდა დაიგავოს და გასუფთავდეს და შემდეგ მოირწყას ხოლმე სუფთა წყლით.

*** 15 ივნისს ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ შემდეგი სასჯელი მიუსაჯა იმათ, ვისაც სასანიტარო წესის დარღვევა ბრალდებოდათ: გეორგ ფარსადანოვს, ივანე ნალბანდოვს, ივანე ჩირიაევს, ნიკოლოოზ გალუშკინს და გაბრიელ ბეგიჯანოვს—1 თთვით ციხეში დაპატიმრება. პავლე გვრიტიშვილს 50 მ. ჯარიმა, და თუ შეუძლებელი აღმოჩნდა, 3 თთვით ციხეში დაპატიმრება. ისიკოვს—25 მ. ჯარიმა. ამას გარდა მომრიგებელმა მოსამართლემ კიდევ ათიოდე კაცს ჯარიმა მიუსაჯა სასანიტარო წესის დარღვევისთვის. სასანიტარო მეცხრე დასმა ოქმი შეუდგინა უსუფთაობისთვის: ხე-ტყეს სახერხავ ქარხნის პატრონს აფიევს, ფარნაოზ ისარლოვსა და სკურატოვს.

*** გუშინ-წინ, 16 ივნისს, შუა დღის 1 საათზედ, ცეცხლი წაეკიდა მადერის ლუდის ქარხანას და სულ ერთიანად გადიბუგა.

*** ტფილისის სასულიერო სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრეს 19 მოწაფემ, ამათში სასულიერო სემინარიაში 15 იქმნება მიღებული, სხვათა შორის: დავ. ნახუცაროვი, ალექს. ლომიძე, გიორგი პარკაძე, ანტონ გოგიაშვილი და გიორგი ჩახნიაშვილი.

*** ჩვენს ძველს მწერალს ალექსანდრე ორბელიანს, როგორც შევიტყეთ, დარჩენია ხელთ ნაწერად განხილვა დუბროვინის თხზულებისა: „გიორგი XIII".

*** შაბათს, 20 ივნისს, ქართულს ხორო ბ-ნ რატილის ლოტბარობით გაჰმართავს კონცერტს ტფილისის „კრუჟოკის" საზაფხულო სადგომში. დასაწყისი კონცერტისა საღამოს 9 საათზედ" დანიშნული. ხორო აპირობს, ერთი კონცერტი კოჯორშიაც გაჰმართოს ან კვირას, 21 ივნისს, ან შემდეგ და მერე უნდა ჩრდილო-კავკასიისაკენ გაემგზავროს მადნის წყლებზე კონცერტების გასამართავად. ხოროს და მის მოთავეს ბ-ნს რატილს იმედი აქვთ, ჩრდილო-კავკასიაში იმდენს ფულს აიღებენ, რომ ერთი ნაწილი მისი ძირის ფულად დაიდოს და გაჭირვებაში მოჰხმარდეს ქართულ გალობა-სიმღერების საქმეს

*** 16 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე თ. ლ. გურიელისა, რომელსაც ბრალდებოდა, რომ ბინა მისცა და დამალა მიხაკო გოგიტიძე, რომელმაც ლებედევს 10,000 მანათი მოჰპარა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ თავ. გურიელი დამნაშავედა სცნა და ციმბირში გაგზავნა მიუსაჯა. თავ. გურიელმა საქმე ტფილისის პალატაში გადაიტანა. სამოსამართლო პალატამ ბრალდებული თავ. ლევან გურიელი სრულიად გაამართლა.

*** ქუთაისი: წელს ქუთაისის გიმნაზიაში ეგზამენები გათავდა ოთხს ივნისს. მოწმობა კურსის დამთავრებისა მიიღო 24 ყმაწვილმა; 14 ქართველია, ორი პოლშელი, ერთი თათარი და დანარჩენი-კი რუსი. აი ქართველების გვარი: ერისთავი, დემიდაშვილი (ოქროს მედალი მიიღო), თუმანიშვილი (ვერცხლისა), ჩოლოშვილი (ვერცხლისა), ბადრიძე, ხარაზოვი, ხუნდაძე ერმილე, ხუნდაძე ნიკოლოოზ, კრინიცკი, გოგიტიძე, სიდავა, გიორგი გამრეკელი და წერეთელი. ამ თოთხმეტში სამნი ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელიდგან იყვნენ გადასულნი გიმნაზიაში: ს. ამირეჯიბი, ვ. ლორთქიფანიძე და მ. ბადრიძე.

*** კარდანახი: (სიღნაღის მაზრა): კვირას, 7 ივნისს, აქ იყო დანიშნული არჩევანები სოფლის მოხელეთა. არჩევანებს დაესწრო მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუაკაცი და სხვა საპატიო კაცნი. ამორჩეულ იქმნა მამასახლისად თ. ივ. ვაჩნაძე. ვნახოთ, დაამტკიცებს თუ არა ამ არჩევანებს მთავრობა.

*** ოზურგეთი: გწერთ დაწვრილებით ავაზაკების მოკვლის ამბავს: აქაურმა პოლიციამ გაიგო, რომ ავაზაკები ბოლოს დროს ბასილეთის საზოგადოებას ესტუმრნენ და იქ მამასახლისს უთვალთვალებდნენ, რომ როცა ეს უკანასკნელი სახელმწიფო გარდასახადს შეჰკრებდა დ გასაგზავნად დაამზადებდა, თავს დასხმოდნენ და გაეძარცვათ. დასასრულ პოლიციამ იმის გაგებაც მოახერხა, თუ სად იყო ბინა ავაზაკთა და წარსულს შაბათს, 13 ივნისს, ღამით პოლიციის ბოქაული ვაშალომიძე და რამდენიმე დარაჯი გაგზავნილ იქმნენ ბასილეთს (ოზურგეთიდამ თითქმის ოცი ვერსია), სადაც გარიჟრაჟზე მიაღწიეს, და შემოერტყნენ იმ სახლს, რომელსაც ავაზაკნი შეჰფარებოდნენ*). ასტყდა თოფის სროლა მდევართა და ავაზაკთა შორის, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ორი ავაზაკი ამალლობელი და სალუქვაძე მოკლულ იქმნენ, ერთი მხლებელი იმათი, ღლონტი შეიპყრეს, ხოლო ბელადმა მიქელაიშვილმა გაიტაცა სალუქვაძის თოფი და თავი დააღწია ხიფათს. მდევართა შორის მსუბუქად დაჭრილია ერთი. ამ ნაირად შედარებით ადვილად მოხდა ამ ორი ავაზაკის თავიდგან მოშორება. სხვა დროს ჩვენში ისეთი ამბავი არაოდეს არ მომხდარა, რომ რამდენისამე მდევრის სიცოცხლე არ ემსხვერპლებინოს.

*** იქიდამვე: ხოლერის გაჩენამ ბაქოში ჩვენი ქალაქიც დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო. ქალაქის გაწმენდისა და გასუფთავების შესახებ ყოველ გვარი ღონეა ნაღონები, რომ ვინიცობაა ეს დაუპატიჟებელი და არა-სასურველი სტუმარი გვეწვია, ბინა ვერ იშოვოს. ამ დღეებში სასანიტარო კამისიამ, რომელშიაც სოფლის ექიმი ბ-ნი დიმიტრი ერისთავია, დაიარა მთელი ქალაქი და დაავალა მკვიდრთ სისუფთავე და სიწმინდე. აგრეთვე ზოგიერთ მიკიტანს გადაუყარა წამხდარი ხორაგეულობა.

*** დუშეთი: მაისის 31-ს დუშეთის ყველა დაწესებულებათა მოხელეებმა და დუშეთის მეოთხე დრუჟინის ოფიცრობამ გაუმართეს სადილი მომრი-

*) ამ სახლის პატრონი, როგორც ამბობენ, ჭლექით მომკვდარა და შემდეგ ქირისუფლებს მიუტოვებიათ.

გებელ მოსამართლეს, ალექსანდრე სვიმონის ძეს ბ-ნ გამრეკელსა, რომელიც დუშეთიდგან გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაზედ თიონეთსა. ბ-ნი გამრეკელი იყო მომრიგებელ მოსამართლედ დუშეთში ცხრა წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში დაიმსახურა მთელის საზოგადოების სიყვარული და პატივის ცემა. ეს სიყვარული დაიმსახურა, არა მარტო დუშეთში მოხელეთა შორის, არამედ თვით მოქალაქეთა და სოფლელ გლეხკაცთა შორისაც. ყველანი სწუხან ასეთის კეთილის მსაჯულის მოშორებასა, რადგან ის მათთვის კარგი მეგობარი და ამხანაგი იყო ყოველთვის, კეთილის რჩევის მიმცემი და კარგს გზაზედ დამყენებელი.

ყოველს საზოგადო საქმეებში, რაც კი მომხდარა მისს დუშეთში ყოფნის დროს, ბ-ნს გამრეკელს არასოდეს არ დაუზოგავს თვისი დაუღალავი და კეთილ გონივრული შრომა და მოღვაწეობა, არამედ ყოველთვის ყოფილა წინამძღოლი და მონაწილეობის მიმღები საქველ-მოქმედო საქმეებში.

ამ თთვის 10-ს დუშეთის მოქალაქეთაც გაუმართეს ბ-ნ გამრეკელს გამოსათხოვი სადილი, რომელზედაც იყვნენ მიპატიჟებულნი ყველა დუშეთის მოხელე კაცნიცა; როგორც პირველ, ისე მეორე სადილზედ ბევრი სიტყვა იქმნა წარმოთქმული და თითოეულის აზრი ის იყო, რომ ვწუხვართ ყველანი თქვენს მოშორებასაო.

⁂ იქიდამვე: მაისის ათამდე ჩვენსკენ დიდი უწვიმობა და სიცხეები იყო. ქინახული ძალზედ შეაწუხა და თითქმის აშუშა კიდეცა. ათს და თერთმეტს-კი კარგი წვიმები იყო აქეთა. ჰაერი კარგად გაგვიგრილა; ახლა, რასაკვირველია, ქინახულსაც ეშველება და კაი მარცვალს გაიკეთებსო. ქერები შეთეთრდნენ კიდეცა და თივებსაც სთიბავენ. წელს, საზოგადოდ, ქინახულს ძალიან კარგი პირი უჩანს, თუ ღმერთმა ცა მშვიდობიანი დაუყენა.

⁂ დუშეთიდამვე: ხოლერის მოახლოებამ აქაც ყველას თავს-ზარი დასცა და, ცოტა არ იყოს, ყველანი შეფუცხუნდნენ კიდეცა: ქუჩებს აგვივინებენ და აწმენდინებენ ყოველს უწმინდურობასა. კარგი იქნებოდა, რომ უფრო მომეტებულს ყურადღებას მიაქცევდნენ, ვისიც ჯერ არს, ღარიბს მოქალაქეთა და იმ სოფლებს, რომელნიც საქართველოს სამხედრო გზასთან ახლოსა მდებარეობენ, აგრეთვე საფოსტო სადგურსა და მისს ეზოებსა.

⁂ სუხუმი: სუხუმის მაზრას კიდევ არ აძლევენ მოსვენებას წურბელა ვაჭრები. სჭრიან ულმერთოდ ბზას და კაცი არ არის სიტყვის მთქმელი. ადვილად შესაძლებელია, ათიოდე წლის განმავლობაში ეს სიმდიდრე აფხაზეთისა ისე მოსპონ, როგორც იმერეთში მოსპეს. დროა, ვისიც რიგია, ახლავე თვალყური ადევნოს ამ გარემოებას.

⁂ იქიდამვე: აგერ მაისი ისე გავიდა, წვეთი წვიმა არ გვინახავს. ყანები ძრიელ შეწუხდა. ვენახები ჯერჯერობით დიდს იმედს იძლევა. არავითარი ვაზის ავადმყოფობა, გარდა ანტრაკნოზისა, ჯერ არავის არაფერი შეუმჩნევია.

⁂ გორი: შაბათს, ამ თთვის 13-სა, რკინის გზის გორის სადგურზედ მოხდა ერთი გულის ამაშფოთებელი საქმე: ამ სტრიქონების დამწერი, მივემგზავრებოდი სხვაგან; მატარებელმა ცოტა შეიგვიანა; შუა დღე იყო; უცბად ხალხმა ძალზე დაიწყო დენა სადგურის ერთის მხრისაკენ, საიდამაც გამოისმოდა კვნესა-გმინვის ხმა, საზარელი ბღუილი და ტირილი „ვაი, ვაი"-ს ძახილითა. სხვათა შორის, მეც მივირბინე და რა ვნახე! მთლად სისხლში მოსვრილი, თავ-პირ დამტვრეული, დაჟეჟილი სოფლელი კაცი გდია სადგურის დასავლეთ მხარეზედ, სისხლი ძალზედ გადმოსდიოდა თავ-პირიდან და ოხრავდა. როგორც ნამდვილად აღმოჩნდა, აი საქმე როგორ ყოფილიყო: ამ ნაცემს კაცს, გვარად მაღრაძეს, რომელიც საციციანოელი აზნაურია, მოეტანა სადგურზედ რამდენიმე ბოთლი შუშხუნა წყლებისა (ზელცერი, ლიმონის წყალი და სხ.) თივაში გახვეული სოფელში წასაღებად. სადგურთან ბოთლები თივისაგან გაენთავისუფლებინა, თავა, რომელიც ერთის ხელეურის მეტი არას დროს არ გამოვიდოდა, წაელო ბ-ნ მაღრაძეს და სადგურის ერთ-ერთ მოშორებულს ადგილას დაეყარა. ეს მისი მოქმედება შეემჩნიათ გზის ხელოსანს ბ-ნ ხ—ნს და სადგურის უფროსს ჟანდარმს ბ-ნს ს—კოვს. ამათ ვერ მოეთმინათ ეს ამბავი და, როგორც სადგურზე თქვეს, იმის მაგიერ, რომ გადაყრილი თივა აეკრებინებინათ უფრო მოშორებით გადასაყრელად, დაეჭირათ მაღრაძე, შაეთრიათ იქვე ბუფეტის სამზარეულოს ერთს ოთახში და შეუბრალებლად ეცემათ. როდესაც მაღრაძეს გული წასვლოდა და სისხლი ძალზედ წამოსვლიყო თავ-პირიდამ, ცოტა არ იყოს, ფახათი მისცემიყოთ, კაცი არ შემოგვაკვდესო, მაშინვე ცივი წყლით მოესულიერებინათ, მოებანათ ნაცემ-ნაგვემის მაღრაძისათვის ცხვირ-პირი, გამოეთრიათ და დაეგდოთ სადგურის ერთს მხარეს, სადაც ხალხი დასეირნობს ხოლმე. აქ ღვთის ანაბარაზედ ეგდო, სისხლი სდიოდა და ტკივილების გამო ჰბღუოდა. ამ კაცის საცოდაობამ მთელი იქ მყოფი ხალხი შეაძრწუნა და საშინლად ააღელვა.

ცხადია, ეს საქმე სასამართლომდე მიაღწევს და იქ გაარჩევენ, როგორც ყოფილა საქმე თავდაპირველად და ან ვინ ყოფილა ან მტყუანი, ან მართალი.

⁂ ახალ-სენაკი: მაისის ათიდგან ჩვენსკენ საშინელი გვალვები იყო; დაცხა ძალიან და ქალაქის მცხოვრებლებს სული და გული შეუხუთა. მოხუცებულები ამბობენ, ასეთს სიცხეებს ივნისში დიდი ხანია არ მოვსწრებივართო. თერთმეტს თიბათვეს, როგორც იყო, გვეღირსა წვიმა, მაგრამ ამდენის ხნის გამხმარ დედამიწას გულს როგორ დაულბობდა ერთხელ წამონაწვიმი.

⁂ გორი: 1 ივნისს გათავდა ეგზამენები გორის დედათა პროგიმნაზიაში. გაათავეს კურსი 8 შეგირდმა. ყველაზედ უკეთესი სწავლა გამოიჩინეს: ს. ფირალოვის ქალმა და ა. ედილაშვილისამ. კურს-დასრულებულები 2 რუსია და 6 ქართველი.

⁂ გაზეთ „Т. Л."-ს შეუტყვია, რომ პეტერბურგში არსდება საზოგადოება, რომელიც კისრულობს ვენახების ფილოქსერისაგან დაზარალების დაზღვევას. საზოგადოების პროექტი ამ დღეებში წარედგინება მთავრობას და საზოგადოება მომავალ წლის 1 იანვრიდგან დაიწყობს მოქმედებას.

⁂ 15 ივნისს გრიბოედოვის ქუჩაზედ, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის მცხოვრებლის 7 წლის შვილი ვლადიმირ აბრამოვი ხიდამ გადმოვარდა და თავი გაიტეხა. ბავშვი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს პოლიციის მეექვსე ნაწილში ივან ჩითახოვის ქაღალდის საკეთებელს ქარხანაში ბამბას ცეცხლი გაუჩნდა, რის გამოც იქვე მომუშავეს ზაქარ გრიქუროვს დაეწვა ხელი, პირი და თავი. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ 17 ამ თთვისას პოლიციაში მოვიდა სახე-გასისხლიანებული ჯარის კაცის კოსტეევას ცოლი და გამოაცხადა, რომ ჩემმა ქმარმა სიმთვრალის დროს მცემაო. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს. იქიდამ ქალი დაბრუნდა სახლში, თან ორი პოლიციელი გაიყოლია, მაგრამ სახლის კარი დაკეტილი დახვდა. შემდეგ ფანჯარა შეამტვრიეს და ისე შევიდნენ სახლში, სადაც ქმარი ჩამომრჩვალი დახვდათ.

## მთავრობის განკარგულებანი

ახალ-ბაიაზეთის მმართველობის მოხელე ივანე ვაჩნაძე დანიშნულ იქმნა იმავე მმართველობის საქმეთა მწარმოებლად.

ხონის სასოსტატო სემინარიის მასწავლებელი მიხეილ ნაკაშიძე დანიშნულ იქმნა მეშვიდე სააქციზო ოლქის კონტროლერად.

ტამანის ქვეითა ჯარის 150 პოლკის შტაბს-კაპიტანი ჩივაძე მიღებულ იქმნა კანდიდატად კავკასიის სამხედრო სასამართლოში.

კავკასიის სამხედრო სასამართლოს გარდაწყვეტილებით ახსაბადის ადგილობრივის რაზმის უფროსად ნამყოფი პოლკოვნიკი ლივინცევი სამსახურის დროს სხვა-და-სხვა დანაშაულის ჩადენისათვის გაგზავნილ იქმნა ოლონეცკის გუბერნიაში ორის წლის ვადით და აესხდა ყოველივე უფლება და ჩინები.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლეჩხუმი**, მაისის 20. მართალია, როგორც იქნა დავაღწიეთ თავი წრევანდელს ხანგრძლივს და სუსხიანს ზამთარს, მაგრამ მისგან დაოსებული ზურგი ჯერ კიდევ ვერ მოგვიშუშებია. ჯერ იყო და გამოზაფხულის სამუშაო და სამოქმედო თთვეები, ნამდვილ შუა ზამთრის თთვეებად გადაგვექცა. ამის გამო ყოველ გვარი მუშაობა უკან დაიწია. აი ეხლაც მაისი ლამის გათავდეს და ხვნა-თესვა კიდევ გაუთავებელია. აწი მოხნული და მოთესილი სიმინდი ჩვენში აბა რაღა სახეირო იქნება. პურიც მეტად დააზარალა დაუსრულებელმა ცივმა ზამთარმა, ჯეჯილები მეტად დაბალია და ღარიბი, კარგის მოსავლის პირი არ ატყვია. ვენახები ხომ, რაღა უნდა მოგახსენოთ, სულ არავითარს იმედს არ გვაძლევს მისას, რომ ეს ერთად-ერთი საეკონომიო ძალღონე ჩვენის ცხოვრებისა სამუდამოდ არ გვიპირებდეს ხელიდამ წასვლას. ვაზს, რომელიც გახმობას გადურჩა, მოსხმით მეტად ღარიბად ასხია, მაგრამ, რაც ასხია, ისიც დიდი საიმედო არ არის. ფოთოლი ამ თავითვე დაუყვითლდა და ემზადება ჩამოსაცვევნად.

ზოგიერთმა მემამულეებმა მიჰყვეს ხელი გოგირდითა და შაბიამანით წამლობას და ასხურებენ ვენახებს. მაგრამ ამ ხელობაში ნასწავლი და დახელოვნებული კაცი არავინა ჰყავთ და უსწავლელ კაცთა მიერ შეზავებული წამალი და ექიმობა რა ნაყოფს მოიტანს.

ცუდსა და გაჭიანურებულს ზამთარს თან მოჰყვა სხვა-და-სხვა თვისების მოარული სენი: მჭვალი, სურდო-ხველა, ინფლუენცა და ზოგან ყვავილიც. ზემოხსენებულმა სამმა მოარულმა მაგრად მოიკიდა ფეხი უფრო დაბალს წოდებაში, გლეხ-კაცობაში. ხშირად შეხვდებოდით ისეთს ოჯახს, სადაც ოთხი, თუ ხუთი ავადმყოფი იწვა თითო ორ თთვეობით ლოგინში, ზემო აღნიშნულის სენისაგან დაავადებული.

თავად-აზნაურობისა-კი ცოტა უფრო ხათრი დაიჭირა ამ მოარულებმა: ფერდის მჭვალი, სურდო და „ინფლუენცა" ამ წოდებისას ბევრს არავის სტუმრებია წელს, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთ გვარი ჯიშის სენი, რომელსაც „უფულენციას" უწოდებენ, საშინლად მოედო ზოგიერთს ოჯახობას და ლამის სიცოცხლეც მოაბეზროს. ეს სენი, რამდენიც ხანი გადის, უფრო და უფრო ვრცელდება და ფესვს იდგამს ამ წოდებაში და ცუდ მომავალსაც გვიქადის. ხომ მოგეხსენებათ, როდესაც მოარული სენი თავს იჩენს ხალხში და მოედება, მკურნალების ჯიბესაც მაშინ ეღება კარი შემოდგომისა. აგრეთვე, როდესაც რომელსამე თავადს ან აზნაურს გამოაჩნდება ჯიშის სენი— უფულენცია, ჩვენებური ფულიანი კაცის შემოდგომა მაშინ იწყება: აღა-მამად-ხანის დროსაც არ იღებდნენ იმდენს სარგებელს ფულის პატრონები, რამდენსაც დღეს იღებენ. პირის-პირზე კიდევ მეტს ახდევინებენ თითქმის წლის განმავლობაში. ჩვენში გასასესხებელი ფული, რაღა თქმა უნდა, აქვს ვაჭარ ხალხს, სომეხს ან ებრაელს და სესხის მსაჭიროებელმა თავადმა თუ აზნაურმა იმათ უნდა მიმართოს. ფულის პატრონი, დაინახავს თუ არა თავის საკბილო „კნიაზს", შეატყობს ბაასსა და მიხვრა-მოხვრაზედ, რომ ეს ვაჟბატონი უფულენციით არის ავადაო, და ხანგრძლივის მუდარის შემდეგ ფულის პატრონი თავის სურვილზედ ითანხმებს კნიაზს და აძლევს ცოტა ხნობით დამამებელ წამალს, მაგრამ ვაი იმისთანა მიცემას! თავნზედ სარგებელს სთვლის დ ერთი-ორად გადასახდელად უხდის.

ვურჩევთ ესეთს „კნიაზებს", თუ სამუდამოდ არა სურთ უფულენციით დაავადება, შემდეგი ანდაზით იხელმძღვანელონ: ჭამა ქონებაზედ ჰკიდიაო. ამ ვაჟბატონებმაც რომ იმდენი მიირთვან და ჰხარჯონ, რამდენსაც მათი ქონება გასწვდება, ხომ თავიდამ აიცილებდნენ მოვახშე ფულის პატრონების ხელში ჩავარდნას. ასი მანეთი ხუთას და ექვსას მანეთად აღარ დაუჯდებოდათ.

დიდს მეცადინეობაშია აქაური მთავრობა რომ, რაც შეიძლება, ცაგერის მოედანს შნო და ლაზათი მოემატოს. მშვენიერი გზა-ტკეცილები გაიყვანეს. ამ გზა-ტკეცილების ორთავე მხარეს სხვა-და-სხვა ჯიშის მცენარეები ჩარგეს. ასე რომ, თუ ამ ნარგაობაში ოცში ერთმა მაინც გაიხა ფესვი და გაიხარა, სწორედ კაი შნოს შემატებს ხსენებულს ადგილს.

ესევე მთავრობა არც ლაილაშს იმდურებს. აქაც აკეთებენ ბაღსა და გზა-ტკეცილებს. ბაღს იქვე აკეთებენ, სადაც წინად იყო. თუმცა პატარაა, მაგრამ ძლიერ ლამაზი ბაღია. მუშებს ორსავე ალაგას ბლომად ამუშავებენ და რომელი ადგილი დარჩება გამარჯვებული, ამისი-კი არა ვიცით-რა.

ზემოდ მოგახსენებდით, რომ ზოგიერთი ნაწილი ჩვენის თავად-აზნაურობისა დასნეულებულია „უფულენციით"-მეთქი, მაგრამ აქა-იქ ისეთს მოხერხებულს და ოსტატ „კნიაზსაც" შეხვდებით, რომელიც ამ სენს თავიდამ ისე იცილებს, რომ ვალს არ იკარებს. ესეთი „კნიაზები" რა საქმეს, რა გარემოებას არ იჩენენ ფულის საშოვნელ წყაროდ: ამას წინად სოფ. ცაგერში გზად მომავალს მომეწია ერთი აზნაური და თვალ-ცრემლიანმა შემომჩივლა: კანტორაში თხოვნა მქონდა შეტანილი „მეტრიჩესკის" მოცემის თაობაზედაო. ამ დროს ესა-და-ეს თავადი მოვიდა ჩემთან და მითხრა, ესა-და-ეს კაცი მიდის ეხლა ტფილისს, ცამეტი მანეთი გაუგზავნე და „მეტრიჩესკ" მოგიტანსო. მეც დავეთანხმე და მივეცი ცამეტი მანეთიო. მაგრამ სინამ ის კაცი ტფილისში ჩავიდოდა, ჩემი საბუთები კიდეც გამოეგზავნა კანტორასაო. ეხლა დავსდევ ხსენებულს კნიაზს, ვსთხოვ ჩემს ფულს, მაგრამ აღარ მიბრუნებს, მემალება, პასუხს არ მაძლევსო. მართლაც, კანტორიდამ საბუთების გამოტანის გამო ბევრნი აბრიყვებენ უსწავლელ აზნაურობას და სცინცლავენ ხელიდამ ფულს. არ იქნება ურიგო, რომ ამ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება.

მართალია, ძველადაც სცოდნიათ ჩვენს მამა-პაპათ ქორწილსა და ლხინში დამბაჩების სროლა და შილინგი, მაგრამ ამ დროს ყოველთვის ფიშტოები უტყვიოდ იყო გატენილი მცირე წამლით და ზედ ქაღალდის დატანებით, ასე რომ უბედურის შემთხვევის შიში არ იყო. ეხლაც ასრულებენ ჩვენში ხშირად ამ ჩვეულებას მოქეიფე ყმაწვილები, მაგრამ ძალიან ცუდად: ძველებურად ქაღალდით გატენილ ფიშტოს მაგიერ, ექვსის ტყვიით გატენილ რევოლვერებით შილინგობენ. ამ გვარს ქეიფსა და შილინგს ხშირად დიდი საცოდაობა და უბედურება მოსდევს შედეგად. აი ერთი მაგალითი: აპრილში, აღდგომა დღეს, სოფელს ჰყვიშში, თავის სახლის ეზოში შექეიფიანებულმა გლეხმა ფარ. ცხვედიანმა გაისროლა რევოლვერი, ტყვია მოხვდა რამდენსამე საჟენზე დაშორებით მოსახლეს მისის მეზობლის გიგო ცხვედიანის მეუღლეს და იქვე სული დაალევინა. საცოდავი დედაკაცი თურმე მეზობელს გამოეგება თავის ეზოში პატარა ბავშვით ხელში. ამ დროს მოხვდა კიდეც ტყვია და გამოასალმა წუთის სოფელს. სასურველია, ამ გარემოებამ გააფრთხილოს მაინც ყველა ისინი, ვინც ამ სახიფათო იარაღს ჭამა-სმის დროსაც არ იცილებენ, და გადაჰკრავენ თუ არა, მაშინვე მიჰყოფენ ხელს სროლასა და შილინგს.

ქაიხოსრო გელოვანი

## კათალიკოზნი საქართველოს ეკლესიისა *)

(488—1811 წ.)

კირილე 790—794 წ.

გრიგოლ 795—797 წ.

სამოელ 798—801 წ.

გიორგი 802—805 წ.

გაბრიელ 806—809 წ.

ილარიონ 810—812 წ.

არსენი 813—815 წ.

ევსუქი 816—818 წ.

კლიმენტოს 819—852 წ. ამან აღაშენა ზედაძენის ტაძარი, დღემდე მრთლივ დაცული. წინად იყო შიომღვიმის ლავრის არქიმანდრიტად. საქ. სამ. 193 გვ.

ბასილი 853—855 წ.

მიქელ 856—858 წ.

დავით 859—861 წ.

არსენი 862—865 წ.

იოანე 866—887 წ. ამან დააწესა დღესასწაული კონსტანტინე მთავრისა 22 ნოემბერს, რომელიც ეწამა ბაღდადში 849—854 წ. იხ. საქ. სამ. 368 გვ. და ჟამნში 10 ნოემბერი.

მალაქია 888—917 წ. ამის ჟამს დინარ დედოფალმა კახელნი მოაქცია სომეხთა წვალებისაგან მართლმადიდებლობად (კახეთ. ცხ. 97 გვ.) ამა წვალებას კახელნი აღიარებდნენ ქასრეს შემდეგ. დინარი იყო მეუღლე ჰერეთის მპყრობელის ადარნასე პატრიკის ძის იშხანიკისა და ასული ადარნასესი და დაჲ გურგენ ერისთავთ ერისთავისა. საქართველოს განაპირად მართლ-მადიდებლობა მტკიცდებოდა ქართლიდამ და დინარიც ხომ აქაური იყო.

---

## რუსეთი

ამ დღეებში ასტრახანში გაიმართა „საჩაიო“, საცა ღარიბ მცხოვრებლებს უფასოდ შეუძლიანთ ჩაის სმა. ყაზანის ეკლესიის მღვდელმა მ. ლებედევმა ამის გამო პარაკლისი გადიხადა და შემდეგ გუბერნატორის მეუღლემ ქ-მა უ. ა. ტევლაშოვისამ შეკრებილს ხალხს აუხსნა, თუ რა საშიშოა ხოლერის დროს აუდუღებელ წყლის სმა და უთხრა, ამიერიდგან ჩაი სვით წყლის მაგივრადაო. ხალხმა დიდი მადლობა გადაუხადა უფასო „საჩაიოს“ გამართვისთვის. შემდეგ ყველა მსურველთ ჩაი დაურიგეს. ხალხი ძლიერ ბევრი იყო: რუსები, თათრები, დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

პირველი „საჩაიო“ გამართულია ხის შენობაში, რომლის ვარშემოც სდგას ორივე მხარეს გრძელი სტოლები, სუფთა ტილოთი გადაფენილი. „საჩაიო“ ღია იქნება ყოველ დღე დილის 8 საათიდგან საღამოს 8 საათამდე.

ჯერ-ჯერობით ასტრახანში 12 უფასო „საჩაიო“ იქნება გამართული, ამათში ერთი ნავთსადგურს ახლო, საცა 1,500 კაცისათვის იქნება გამართული. ადგილობრივი გაზეთი, „Астр. Вѣс.“ რომელშიაც ეს ამბავია დაბეჭდილი, სთხოვს ყველა შეძლებულ მცხოვრებთ და ჩაისა და შაქრის ვაჭრებს, ამ კეთილს საქმეს შემწეობა აღმოუჩინეთ და ვისაც რა გემეტებათ, შემოსწირეთო.

*) იხ. „ივერია“, № 96.

— მთავარი გამგეობა საპატიმროთა საყურადღებო ცნობებს აცხადებს პატიმართ შესახებ რუსეთში. 1 იანვრისთვის 1890 წ. მთელ რუსეთის საპატიმროებში იმყოფებოდა სულ 109,485 კაცი. ხოლო 1890 წლის განმავლობაში ახლად დააპატიმრეს 681,141. ამ რიცხვს რომ პირველი მივუმატოთ, მაშინ 1890 წელს პატიმართა რიცხვს შეადგენს 790,626. ამათ შორის 685,534 მამაკაცი,—დედაკაცი-კი 105,092. ყველაზედ დიდი % მამაკაცებისაგან დასჯილთ ამურის მხარეს და ქალ. ნიკოლაევსკშია—სულ 67%, უმცირესს-კი ზაქათალის ოლქში—10%. პატიმარდედაკაცთა % ყველაზედ უფრო აღემატება ყარსის ოლქში, სადაც 93% შეადგენს, საპატიმრო უწყებაზედ ამ წლის განმავლობაში დახარჯულა 14,386,192 მ. 28 კ. შემოსავალი-კი პატიმართა სამუშავოებიდგან 1,051,951 მ. 65 კ.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** 4 ივნისს გლადსტონმა ინახულა დაპირებისამებრ დეპუტაცია მუშების ამხანაგობათა და ესაუბრა მუშათათვის 8 საათის სამუშაო დღის დაწესების თაობაზედ. დეპუტაციაში ერივნენ მუშები სხვა-და-სხვა მრეწველობისა და საბჭოს მდივანი შიპტონი. როცა შიპტონმა წარუდგინა მუშები გლადსტონსა და ასე უთხრა, ესენი დელეგატები არიან ლონდონის მუშათა იმ ამხანაგობის საბჭოსი, რომელსაც 70,000 წევრი ჰყავსო. ხსენებული მუშები ყველანი საერთოდ იმ აზრისანი არიან, რომ საჭიროა, განწესიერდეს დრო მუშაობისა და დღეში 8 საათის მუშაობა დაწესდეს საკანონმდებლო წესითაო.

გლადსტონი. საკანონმდებლო წესითა?

შიპტონი. დიაღ, სხვა ღონისძიება ვეღარა გვიპოვნია-რა ამის განსახორციელებლად.

გლადსტონი. მაშ თქვენა გგონიათ, რომ, მუშათა საერთო აზრით, საჭიროა სამუშაო დღის შემცირება საკანონმდებლო წესით?

შიმპტონმა უპასუხა, საზოგადო აზრით, ეს საჭიროა, ჯერ ერთი იმისთვის, რომ მოსპობილ იქმნას მეტისმეტი მუშაობა და მეორეც იმისთვის, რომ იმ მრავალმა მუშამაც იშოვნოს საშოვარი, რომელიც ამ ჟამად უსაშოვროდ არის დარჩენილი. დელეგატმა კუპერმაც განაცხადა, საჭიროა კანონმდებლობის ჩარევა ამ საქმეშიო და პასუხად გლადსტონისაგან შემდეგი მიიღო: „თქვენ, ბატონებო, მოჰმმართეთ ჩემს გრძნობას მოვალეობისას, მაგრამ მსურს ვიცოდე, ჰფიქრობთ განა, რომ მე ვალდებული ვარ თქვენის საქმის გულისთვის უარ ვყო ის უდიდესი საქმე, რომელსაც მე ჩემი თავი შევწირე ამ უკანასკნელს დროს და რომლის გულისთვისაც იმას ვჩადი, რაც არც ერთს 83 წლის კაცს არ ჩაუდენია. გგონიათ კარგადა და ჰკვიანურად მოვიქცეოდი, რომ თქვენის საქმისათვის მომეკიდნა ხელი და დამეტოვებინა სხვა საქმეები, რომლის გამოც სხვა-და-სხვა ვალდებულება ვიკისრე მთელის ქვეყნის წინაშე?

ერთმა დელეგატთაგანმა შეჰნიშნა, 8 საათის დღიურის სამუშაოს დაწესებულებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო შოტლანდიისა და ინგლისისათვის, არამედ ირლანდიისათვისაცაო. გლადსტონმა სთქვა, ეგ შენიშვნა პასუხი არ არის ჩემის სიტყვისაო.

ყველას კარგად მოეხსენებათ, განაგრძო გლადსტონმა, რა მდგომარეობაშიაც ვართ მე და ჩემი მეგობრები. მიხედვით საზოგადოების სარგებლობისა, მოვალეობისა, პატიოსნებისა და ზნეობისა, მე ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ, ვეძიო გარდაწყვეტა იმ დიდის საკონსტიტუციო საქმისა, რომელიც აღიძრა ინგლისსა და ირლანდიას შორის. ეს უპირველესი მოვალეობაა ლიბერალთა დასისა, არა მარტო საკეთილდღეოდ ირლანდიისა, არამედ იმისათვისაც, რომ როგორც მე გამოცდილებით დავრწმუნდი, პარლამენტს, თუ ეს საქმე არ გარდასწყვიტა, სრულიად არ ძალუძს აღასრულოს თავისი მოვალეობანი ინგლისისადმი და დროზედ გააკეთოს იმისი საქმეები. მე ხელი მოვკიდე განხორციელებას ამ დიდის ცვლილებისას და ვგონებ არ მომთხოვენ, რომ თავი დავანებო დაწყებულს საქმესაო.

დელეგატი ტეილორი. თქვენი სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ვიდრე ირლანდიის საქმე ირლანდიელთა სურვილისამებრ არ გადასწყდება, მანამდე ყოველივე საქმე და ღონისძიებანი, მუშათა შესახები, დატოვებულ უნდა იქმნას?

გლადსტონი. არა, არა; მე ეგ როდი მითქვამს.

დელეგატი პირსონი. თქვენ თავად რა აზრისა ბრძანდებით, რომ ეს საქმე ჰომრულის წინ ყოფილიყო დაყენებული?

გლადსტონი. მე გულ-წრფელად ვისურვებდი თქვენს გამარჯვებას; მაგრამ მე ნუ მომმართავთ თხოვნით, რადგან სხვა საქმე მაქვს ნაკისრები და რომ ვუმტყუნო, ჩემთვის დიდი სირცხვილი იქნება.

პირსონმა შეჰნიშნა, ახალი პირობანი ცხოვრებისა ახალ გვარს მოქმედებასა თხოულობსო; გლადსტონი რომ დავარწმუნოთ, რომ მუშათათვის 8 საათის მუშაობის დაწესებას დღეში უფრო დიდი საკეთილო შედეგი მოჰყვება, ვიდრე ჰომრულს, ნუ თუ მაშინაც არ შეიწყნარება ეს საქმე?

გლადსტონი. ჩემის საქციელის გამოცვლა ყოვლად შეუძლებელია. რომ შეიძლოს ვინმე და დამიმტკიცოს ეგ—დიდის გაბედულობით წარმოთქმული—აზრი, მაშინ ვიტყოდი, გულითა და სულით ვისურვებ თქვენს გამარჯვებას-მეთქი; მაგრამ მე არ შემიძლიან აღმასრულებლობა ვიკისრო თქვენის სურვილისა, რადგან თავს შევირცხვენდი, რომ მხარი შემექცია ჩემ მიერ ნაკისრებ საქმისათვის, რომელსაც მრავალი კვირა და თთვე შევწირე.

პირსონი. ჰომრული თავის თავად საძიებელი, სამიზნო საგანი არ არის.

გლადსტონმა ამაზედ უპასუხა: ეგ შენიშნვა არ შეეხება იმ მოვალეობას, რომელსაც მე ვკისრულობ ირლანდიისათვის, და ამ საქმეს ყოვლად შეუძლებელია მხარი ავუქციოვო.

დელეგატმა ტეილორმა ჰკითხა, განა არ შეიძლება, რომ ჰომრული არ შეუერთდეს 8 საათის დღიურს მუშაობის დაწესების საქმესა? არავინ არ ითხოვს, რომ გლადსტონმა ხელი აიღოს ირლანდიის პროექტზეო.

გლადსტონი. მე ისე მგონია, რომ ცოტაოდნად ამ საქმის დაყოვნებასა და მეორე ხარისხზე დაყენებას ითხოვთ.

ტეილორი. განა არ შეიძლება ერთად მოთავსდეს ეს ორივე ცვლილება?

გლადსტონი. დიაღ, შეიძლება ერთი მეორეს ადრე-გვიანობით. მაგრამ მე უკვე აღთქმა მაქვს დადებული და ვალდებულება ნაკისრები.

ბეტმენი. მე მგონია, ადრე გვიანობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა უკვე დამტკიცებულ იქმნება კანონიერება ჩვენის თხოვნისა.

ტეილორი. ჩვენ გვსურს მხოლოდ ვისარგებლოთ თქვენის ავტორიტეტით და ხელი შევუწყოთ მუშათათვის დღეში 8 საათის მუშაობის დაწესებას; თუ ვინიცობაა გაიმარჯვებს, გვსურს, რომ ამ ბილლს მოჰკიდოთ ხელი და შეაწყნარებინოთ.

გლადსტონი. მე მესმის თქვენი სურვილი: თქვენ იმას-კი არ ითხოვთ, რომ მხარი ავუქციო ჩემს საქმეს, არამედ იმას, რომ მაგ ბილლსაც მოვკიდო ხელი. უნდა გითხრათ, რომ მე ჩემ პირველ მოვალეობად მუშებისადმი ისეთ ბილლების დამტკიცებინებასა ვრაცხ, რომლის შემწეობითაც მუშებს შეეძლებათ თავისით მიაღწიონ თავიანთ საძიებელს საგანს. ამ აზრით ვეძიებდით ამომრჩევლების უფლებათა გავრცელებას და სხვა ცვლილებათა მოხდენას; თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი, როგორც ნიუკესტლში ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვაშიაც მოვიხსენიე.

შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა ამ საგნის სხვა-და-სხვა წვრილმანის შესახებ. ბოლოს პირსონი კვლავ დაეკითხა გლადსტონს. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ჩვენის საქმის განხორციელებაო.

— თქვენ ეგ მე არ უნდა მკითხოთ— სთქვა გლადსტონმა: ჩემისთანა ყოფაში ჩავარდნილ კაცისათვის ძლიერ ძნელია სთქვას—შესაძლებელიაო. ვიტყვი თუ არა მაგას, მაშინვე მკითხავენ: მაშ თუ ეგრეა, რატომ ხელს არ მოჰკიდებთ და არ განახორციელებთო?

პირსონი. ჩვენც სწორედ მაგას მოგახსენებთ.

გლადსტონი. მერე არ იცით, რომ მრავალი საქმე მაქვს და არა მცალიან?

პირსონი. იქნება შეიძლებოდეს, რომ უფრო ნაკლებად საყურადღებო საქმე რამ გადასდოთ.

გლადსტონი. ძნელია ითქვას, რომელის საქმის გადადება შეიძლება.

წასვლის წინად შიპტონმა მადლობა გადაუხადა გლადსტონს დეპუტაციის მიღებისათვის, მაგრამ შეჰნიშნა-კი, იმედი გვქონდა, რომ უფრო გამამხნევებელს სიტყვას გავიგონებდით თქვენგან და ამ გარემოებას შეეძლო ხელი შეეწყო ჰომრულის შეწყნარებისათვისაცაო. მომავალის არჩევანების მნიშვნელობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელს მხარეს იქნება უმრავლესობა. გლადსტონს რომ მუშებისაკენ ელაპარაკნა, მომხრეებს მოიმატებდა ჰომრულის შესაწყნარებლადაო.

გლადსტონმა უპასუხა, პირველი მოვალეობა სახელმწიფო მოღვაწისა ის არის, რომ ისეთს არას დაჰპირდეს, რის აღსრულებაც არ შეუძლიან.

---

## წვრილი ამბავი

პარიჟის აკადემიამ ბრაზილიის განსვენებულის იმპერატორის დონ-პედროს მოადგილედ გერმანიის მეცნიერი ჰელმჰოლცი აირჩია წევრად.

— სტოკჰოლმიდგან იუწყებიან, რომ კალტარაში გაგზავნილმა გერმანიის ელჩმა გასელკვისტმა რევოლვერით თავი მოიკლა. მიზეზი თავის მოკვლისა, ამბობენ, ისა ყოფილა, რომ 160,000 კრონი სახელმწიფო ფული შემოჰხარჯვია.

— ნიუ-იორკიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ საშინელმა გრგვინვამ ქალაქი გალვო თითქმის სულ ერთიანად გაანადგურა. გრგვინვას საშინელი ელვა-ჭექა მოჰყვა და რამდენიმე სახლი დააქცია. ხალხი ძლიერ ბევრი დაიღუპა.

— ბუდა-პეშტში ამას წინად გარდაიცვალა 62 წლის ქალი, მარიამ გოშ, რომელსაც პორუჩიკის ჩინი და სიმამაცის მედალი ჰქონდა. 1848 წელს 18 წლის მარიამმა კაცურად ჩაიცვა და „კარლის“ სახელით ტიროლის თავისუფალ ჯარში შევიდა. ომის დროს მარიამ გოშმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა და პორუჩიკის ჩინი და მედალი მიიღო. შემდეგ გუსართა პოლკში ჩაეწერა და იქაც პორუჩიკის ჩინით დააჯილდოვეს იმ სიმამაცისათვის, რომელიც ომში გამოიჩინა. ცოტა ხნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გუსართა პოლკის პორუჩიკი „კარლი“ გასათხოვარი ქალი მარიამ გოში იყო. პორუჩიკი მარიამ გოში არტილერიის ერთს მაიორს შეუყვარდა. ომის დროს მარიამ გოში ტყვედ წაიყვანეს და კილაგოშმის ციხეში დაამწყვდიეს. აქ პორუჩიკს მარიამს შვილი ეყოლა. ცოტა ხნის შემდეგ დაქვრივდა და მეორედ პორუჩიკს მისთხოვდა. ამ ბოლოს დროს ეს ქალი გაჭირვებული იყო და მხოლოდ ვენგრიის გამოჩენილ მწერლის იოკაის ცდილობით ფული შეუგროვეს და იმით სცხოვრობდა მოხუცებული პორუჩიკი-ქალი, ვიდრე გარდაიცვლებოდა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობას ვუძღვნი გაზ. „მწყემსის“ რედაქციას, წინამძღვარიანთ-კარის სკოლის მასწავლებელს ბ-ნ ბოცვაძეს და თავ. გრ. ნაკაშიძეს, რომელთაც რწმუნებულ ჩემდა სკოლას შემოსწირეს 1-მა თავისი გაზ. „მწყემსი“ ამა 1892 წლისა; 2-მა—3 მანეთი ხსენებულის სკოლისავე შეგირდების სასარგებლოდ რვეულებისთვის და 3-მა ცხრა ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი, ჩემ მიერ განზრახულ დაარსებულ ქართულ წიგნთ საცავის სასარგებლოდ.

მაკვანეთის კერძო სკოლის მასწავლებელი

კოტე გვარამაძე

---

## დეპეშა

16 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია მთავრობის განკარგულებანი: 1) თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს ნება ეძლევა განაძეოს თურქესტანიდამ მეზობლად მყოფ სახანოების მკვიდრნი და უცხო ქვეყნების ქვეშევრდომნი, როცა მათს მოქმედებამოღვაწეობას მავნებელი ხასიათი აქვს და მათი დატოვება სასურველი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის; 2) შეიცვალოს 29 მუხლი დროებით შემოღებულ წესდებისა სასოფლო სასამართლოს შესახებისა იმ ქვეყნებში, საცა საერობო უფროსთა ინსტიტუტია დაწესებული და 3) საქციზო უწყების მოხელენიც ვალდებულ იქმნენ ყურადღება იქონიონ, რომ წესიერად სწარმოებდეს ვაჭრობა და მრეწველობა-ხელოსნობა.

ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორი ნეკლიუდოვი დანიშნულ იქმნა ორიოლის გუბერნატორად.

სამკურნალო სამმართველოებს ებრძანად, ვალდებულ-ჰყონ კერძო და სასოფლო აფთიაქები იმ გუბერნიებისა, რომელიც ხოლერის მხრით კეთილ-საიმედო არ არის, იქონიონ საკმაოდ სადეზინფენქციო წამლები და ჰყიდონ ისე, რომ მათის მომზადების ფასი არ იანგარიშონ.

როგორც სჩანს, თურქესტანის ოლქში ჯიზაკში 6 ივნისიდამ 10-მდე გარდაცვლილა ხოლერით სამკურნალოებში 5, მათ გარეშე—130 ბინადარი. კაახკას, იმიერ-კასპიის ოლქში ავადმყოფობა ძლიერდება; შუშაში 13 ივნისს ბაქოდამ მოსულებ შორის სამი აღმოჩნდა ხოლერით სუბუქად ავადმყოფი; ბაქოს 14 ივნისს სამკურნალოში კვლავ მიიყვანეს 36; სულ ავადმყოფთა შორის მორჩა 2, მიიცვალა 18; დარჩა ავადმყოფი 84.

„Нов. Время“-ს გაუგონია, რომ გუშინ წავიდა ნიჟნი ნოვგოროდს მსწავლული სეკრატარი, წევრი სამკურნალო დეპარტამენტისა, პროფესორი ანრეპი, გაგზავნილი იმისათვის, რომ გასინჯოს და გადასწყვიტოს ადგილობრივ, რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული, რომ ხოლერამ არ იჩინოს თავი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.

**ლონდონი**. მარკიზი სალისბერი ამბობს იმ წერილში, რომელიც ამომრჩეველთა მიმართ მიუწერია, რომ თქვენ უნდა გადასწყვიტოთ, ახალმა პარლამენტმა თავისი მოვალეობა იმ კანონმდებლობას უნდა მოახმაროს, რომელსაც საგნად ექმნება განაკარგოს ყოფა-ცხოვრება მუშათა სხვა-და-სხვა კრებულისა, თუ ირლანდიის თვით მმართველობას, რასაც შეუძლიან საერთმანერთო შინაური ომი გამოიწვიოს ირლანდიაში.

ალლახაბადიდამ იწერებიან დეპეშით, რომ გაზ. „Pionner.“-ის თქმით, აბდურახმან ხანის ჯარს უკანასკნელ ომებში 1,500 კაცი დაჰკარგვია. მათ შორის ზოგი მოუკლავთ და ზოგი დაუჭრიათ.

17 ივნისი

**პეტერბურგი**. გამოცხადებულია ზოგიერთი ცვლილებანი იმ წესებისა, რომელიც შეეხება სასმელების გასყიდვას.

გემ „ალექსანდრე“-ზე, რომელიც ბაქოდგან მიდიოდა ასტრახანს და შეჩერებულ იქმნა სეიდში, გარდაიცვალა: 1 დედაკაცი და 4 ყმაწვილი. ავად გახდა 4 საექვოდ. ასტრახანში ხოლერა არ არის. ბაქოში 14 ივნისს მიიყვანეს სამკურნალოებში 48; რაც ავადმყოფები იყო მათ შორის გარდაიცვალა 30, კარგად გახდა 2, დარჩა სამკურნალოებში 90. სამკურნალოებ გარეშე გარდაიცვალა 8. ტფილისში ავად გახდა ბაქოდამ მისული სათადარიგო ჯარის კაცი. სულ იმიერ კასპიის მხარეში უკანასკნელ ხუთის დღის განმავლობაში ავად გახდა 51, გარდაიცვალა 31.

**ლონდონი**. დღეს პარლამენტი დათხოვნილ იქმნა სეფე-სიტყვით, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მოვიდა დრო, როცა საკეთილ-გონიერო საქმე ვიკითხოთ აზრი ქვეყნისა ახალის პარლამენტის მოწოდების შემწეობით.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივნისი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,03 | 8,07 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160½ | 161½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220¾ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 194½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102½ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¾ |

## გამოსადეგი ცნობანი

### ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გან ადისაითს.

---

**ფოთიდგან გადის:**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

# განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან**

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, თავის წესდების მე-15 § ძალით, აცხადებს, რომ 23 ივლისს 1892 წელს, დილის 12 საათზედ ტფილისში ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, დანიშნულია საჯაროდ გასყიდვა ვაჭრობით, ვაჭრობის განუმეორებლად, **გრიგოლ სკანდარის ძის თანდოევისა**, რადგანაც ამ ბანკიდამ აღებულ სესხის ხვედრი გარდასახადი არ შემოიტანა, ის გარდასახადი, რომელიც დაწესებულია ბანკის წესდების მე-13, 14, 15, 17, 18, და 19 § §-სამებრ. ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 § თანხმად, დაიწყება 1257 მან. 88 კაპეიკიდამ, რომელიც შესდგება თავნის ვალისაგან 1200 მან. და შემოსატან გარდასახადისაგან 57 მან. 88 კაპ. ზედ-დართვით იმ ფულისა, რომელიც ამ მამულზე ირიცხება სახელმწიფო ხარჯისა, საქალაქო და საერობო გარდასახადისა. თავნი ვალი შესაძლოა გასტუმრებულ იქმნას იმავე ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომლის სახელ-დებული ფასი მანათი მანათად იქმნება მიღებული. შეიძლება აგრეთვე, რომ იგი თავნი ვალი ვალადვე იტვირთოს მსყიდველმა. ვადაზე შემოსატანი და სხვა გარდასახადი უნდა გასტუმრებულ იქმნას ნაღდის ფულით. თუ 23 ივლისს 1892 წელს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების 21 § ძალით, ინიშნება მეორედ და უკანასკნელად ვაჭრობა 8 აგვისტოს 1892 წელს. ბანკის წესდების მე-16 § ძალით, მსესხებელს ნება აქვს შემოიტანოს ხვედრი შემოსატანი ვადის გადაცილებისათვის დაწესებულ სარგებელითა და ყველა იმ ფულითურთ, რაც ხარჯად მოუნდა ბანკს მამულის გასყიდვად დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე. თანდოევის მამული საძოვარ-საბალახე ადგილებია და ხეხილიანი ვენახი, ზომით სულ 8 დესეტინა 2383 ოთხ-კუთხი საჟენი და მდებარეობს ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ გლდილისში, სახელწოდებით „საბურთალო.“ (3—1)

---

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—61)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-ти, пографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее- ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачествен: ность матеріаловъ.

---

## ძოძოლო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფატონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—21)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

---

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

---

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 17-го Іюня 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.